



# ბიულეტენი

სამეცნიერო ჟურნალის  
„ქართული პოლიტიკა“,  
სპეციალური გამოცემა



## ირაკლი ლარიბაშვილი

სერია: საზოგადოებრივი პოლიტიკა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის  
ირაკლი ლარიბაშვილის გამოსვლა  
გაეროს გენერალური ასამბლეის  
სამოცლაშეათა სესიოზე

2015 #16



მვირფასო მეგობრებო!

კარგი მმართველობა, ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფაა.

საჯარო ადმინისტრირების სფეროში სახელმწიფო, რეგიონული, უწყებრივი თუ ადგილობრივი მმართველობის დონეზე გადაწყვეტილებებს საჯარო მოხელეები იღებენ და იმაზე, თუ რამდენად აქტუალურ თემებს „წამოწვევენ“ ისინი განსახილველად, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება.

ჟურნალის სამეცნიერო რედაქცია მიესალმება და მხარს უჭერს თითოეული მოხელის მოსაზრებების, შეფასებების, დასკვნების სათანადოდ წარმოჩენას. რედაქცია დადგენილი წესით გამოაქვეყნებს მათი ავტორობით მომზადებულ საჯარო გამოსვლების ტექსტებს - პარლამენტის სხდომებზე, სამთავრობო ან ადგილობრივ ღონისძიებებზე, სამეცნიერო კონფერენციებზე, სემინარებზე; ასევე, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცალკეულ სტატიებსა თუ წიგნებს.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის არცერთი ღირებული, ინოვაციური, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი არ დარჩეს განხილვის, გასაჯაროების გარეშე, რადგან ამან, შეიძლება, სერიოზულად დააზარალოს როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ინტერესები.

„ქართული პოლიტიკის“ რედაქცია ღიაა თანამშრომლობისთვის და მოგმართავთ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებს - ნუ მოერიდებით საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას და გადმოაგზავნეთ სათანადოდ რედაქტირებული ნაშრომი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [info@georgianpolitics.com](mailto:info@georgianpolitics.com).

გამოცემების ციფრული ვერსია საჯარო სამსახურის ბიუროს დახმარებით უსასყიდლოდ პერსონალურად მიეწოდებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, წარჩინებულ სტუდენტებს. აგრეთვე ის განთავსდება ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე - [www.politlibrary.ge](http://www.politlibrary.ge).

ამჯერად რედაქცია ცალკე ბროშურის სახით გამოსცემს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვას, წარმოთქმულს გაეროს გენერალური ასამბლეის სამოცდამეათე სესიაზე.

ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი „კარგი მმართველობის“ განხორციელებას საქართველოში.



**საქართველოს  
პრემიერ-მინისტრის  
ირაკლი ღარიბაშვილის  
გამოსვლა გაეროს  
გენერალური ასამბლეის  
სამოცდაზეათე სესიიზა**



**გამომხმეელი: ქიული შარტავას სანელებიშო  
პოლიტიკის და მართვის სალოქტორო სკოლა**

## წინათქმა

2015 წლის 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამთავრობო დელეგაციასთან ერთად ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. გაეროს დაარსებიდან 70 წლისთავზე ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში მსოფლიოს 193 ქვეყნის ლიდერმა მოიყარა თავი, რათა განეხილათ საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოებისა და განიარაღების საკითხები, ასევე საერთაშორისო პოლიტიკური თანამშრომლობის, საერთაშორისო სამართლის განვითარების საკითხები, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა განხორციელების და ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები, საერთაშორისო ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული, კულტურული, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის სფეროში თანამშრომლობის, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საკითხები, მოესმინათ უსაფრთხოების საბჭოსა და გაეროს სხვა ორგანოების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები.

26 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოვიდა გაეროს სამიტზე, სადაც განაცხადა, რომ „მდგრადი განვითარება არის მომავლის გზა, რომელიც გვთავაზობს ეკონომიკური ზრდის, სოციალური სამართლიანობის, გარემოს დაცვისა და მტკიცე მმართველობის გეგმას; საქართველო გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას თავის პარტნიორებთან, რათა მივაღწიოთ ამ მიზანს 2015 წლის შემდგომი განვითარების ამბიციური და ყოვლისმომცველი დღის წესრიგის მეშვეობით.“

მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან საქართველოს მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა ოთხ მიზანზე: ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, ყველასთვის

ხელმისაწვდომი, თანამედროვე ენერგორესურსების მიწოდება, ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

27 სექტემბერს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიის ფარგლებში, ორმხრივ შეხვედრებს მართავს. საქართველოს მთავრობის მეთაური კონგრესმენ ელიოტ ენგელს შეხვდა. შეხვედრაზე კონგრესმენმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის, საქართველოს ნატოში გაწევრიანებისა და ევროპული მისწრაფებების მიმართ.

იმავე დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი კლინტონის გლობალური ინიციატივის ყოველწლიური შეხვედრის გახსნის ცერემონიას დაესწრო. ცერემონიაზე მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. გახსნამდე პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა სახელმწიფოების მეთაურებს დახურულ მიღებაზე უმასპინძლა. ირაკლი ღარიბაშვილმა ბილ კლინტონს მიწვევისთვის მადლობა გადაუხადა.

27 სექტემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერს ანგელა მერკელს შეხვდა.

ასევე მოეწყო შეხვედრა ირაკლი ღარიბაშვილსა და ეკვატორული გვინეის ვიცე-პრეზიდენტ თეოდორო ნგუმეა ობიან მანუესს შორის, რომელზეც განხილული იქნა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები.

იმავე დღეს ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით გამოვიდა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდის საკითხებზე მსოფლიო ლიდერების შეხვედრაზე. „ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ გენდერულ თანასწორობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიისა და მდგრადი განვითარებისათვის. 1994 წელს ჩვენ ხელი მოვაწერეთ



კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და ძალ-ღონეს არ ვიშურებთ მის განსახორციელებლად. 2011 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2012-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის („ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება») განსახორციელებლად. 2013 წელს ჩვენ მივიღეთ 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც მოჰყვა 2014-2015 წლების გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა»- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მსოფლიო ლიდერების შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას. მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო მომავალშიც გააგრძელებს გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქალთა,

მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეზოლუციის ეროვნული სამოქმედო გეგმების განახლებას, გადახალისებასა და მათი შემდგომი ფაზების შემუშავებას; ასევე მოამზადებს გენდერული თანასწორობის ეროვნულ სტრატეგიას, რომელშიც ასახული იქნება მთავრობის გრძელვადიანი, სტრატეგიული ხედვა ამ საკითხებთან დაკავშირებით.

28 სექტემბერს შედგა ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრა დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრთან - ტონი ბლერთან. შეხვედრაზე საქართველოსა და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები განიხილეს. ტონი ბლერი ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოში მოიწვია, რაზეც დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თანხმობა განაცხადა.

გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში შედგა შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს, ვიქტორია ნულანდს შორისაც. მხარეებმა საქართველო-აშშ-ს ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო ქვეყნის შიგნით და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოში განხორციელებულ დემოკრატიულ რეფორმებს. ვიქტორია ნულანდმა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისადმი სრული მხარდაჭერა გამოხატა.

იმავე დღეს ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის პრემიერ-მინისტრს, ტოგოსა და გაიანას პრეზიდენტებს, აგრეთვე სენტ-ვინსენტისა და გრენადინების პრემიერ-მინისტრს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობების საკითხები განიხილეს და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები დასახეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა არაღიარების პოლიტიკისთვის, ასევე



დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ რეზოლუციის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა კარიბის ქვეყნების, ასევე აფრიკის ქვეყნების პრეზიდენტებსა და პრემიერ-მინისტრებს. ირაკლი ღარიბაშვილი ასევე დაესწრო ნიუ-იორკში იაპონიის პრემიერ-მინისტრის, შინძო აბეს სახელით გამართულ მიღებას.

28 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 2015 წლის გაეროს მდგრადი განვითარების სამიტის ფარგლებში გამართულ მეოთხე ინტერაქტიულ დიალოგში - „ჩვენი პლანეტის დაცვა და კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლა“ მიიღო მონაწილეობა და განაცხადა, რომ საქართველო, განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობისა და მრავალფეროვანი კლიმატური პირობების გამო, კლიმატური ცვლილებებისგან საკმაოდ დაუცველია. მთავრობის მეთაურმა სიტყვით გამოსვლისას კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლას 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა უწოდა და თბილისში ივნისში მომხდარ





სტიქიაზე ისაუბრა. პრემიერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მზადყოფნა, თავისი წვლილი შეიტანოს ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. „იმისთვის, რომ უზრუნველყოთ მდგრადი მომავალი და მომავალ თაობებს შევუნარჩუნოთ ჩვენი პლანეტა, აუცილებელია დღესვე გადავდგათ შესაბამისი ნაბიჯები”, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

28 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიის გახსნას. სესია გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა გახსნა. გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე სიტყვით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა. სესიის გახსნამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გაეროს გენერალური მდივნისა და მისი მეუღლის სახელით გამართულ მიღებას დაესწრო.



29 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოვიდა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ ორგანიზებულ გაეროს სამშვიდობო ოპერაციების სამიტზე, სადაც სამშვიდობო მისიებში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

იმავე დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტ ობამას პატრონაჟით ორგანიზებულ ISIL-ისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ლიდერთა სამიტს დაესწრო.

გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა მოლდოვას პრემიერ-მინისტრთან ვალერიუ სტრელეცთან. პრემიერ-მინისტრებმა ორმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი განიხილეს, რომლის დროსაც ორივე მხარემ ხაზი გაუსვა თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საჭიროებას.



30 სექტემბერს ირაკლი ღარიბაშვილი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებს: Moody's, Standard and Poor's და Fitch-ის წარმომადგენლებს შეხვდა. ქართულმა მხარემ სარეიტინგო კომპანიების წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისა და ეკონომიკური განვითარების პოზიტიური ტენდენციების შესახებ. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოში არსებულ ლიბერალურ ბიზნეს და საინვესტიციო გარემოზე. საუბარი შეეხო საქართველოსა და რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას.

იმავე დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკის, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ ფრანს ტიმერმანსისა და საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების



საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ფედერიკა მოგერინის სახელით გამართულ მიღებას დაესწრო.

30 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდა ნიუ-იორკში შეკრებილ მსოფლიოს წამყვან ინვესტორებს საინვესტიციო ფორუმზე - Georgia-Making Business Easy.

1 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით გამოვიდა გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე. მან ხაზი გაუსვა გაეროს დაარსების 70-ე წლის-თავთან დაკავშირებით გენერალური ასამბლეის წინაშე გამოსვლის მნიშვნელობას და გაეროს ტრიბუნიდან არსებულ შესაძლებლობებზე, მიღწეულ შედეგებსა და ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე ისაუბრა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვ-ლას გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე განათლე-ბის საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებული ქართველი სტუდენტები დაესწრნენ. მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტები გაეროს ტრიბუნიდან



პრემიერ-მინისტრის გამოსვლის მოსასმენად ნიუ-იორკში სპეციალურად ჩამოვიდნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ მიღებას დაესწრო. გალა ვახშამი - 2015 Global Citizen Award Dinner გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გაიმართა.

2 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გაეროს გენერალურ მდივანს ბან კი მუნს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონში კონფლიქტის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ვითარება განიხილეს, აღნიშნეს ქართველებს - აფხაზებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის მნიშვნელობა; ასევე განიხილეს საქართველოსა და გაეროს, როგორც უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. გაეროს გენერალურ მდივანთან შეხვედრით საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში დასრულდა.



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი  
ლარიბაშვილის გამოსვლა გაეროს გენერალური  
ასამბლეის სამოცდამეათე სესიაზე

1 ოქტომბერი 2015 წ.

ნიუ-იორკი, აშშ

ბატონო პრეზიდენტო,  
პატივცემულო დელეგატებო,  
ბატონებო და ქალბატონებო,

ჩემთვის დიდი პატივია, რომ დღეს კიდევ ერთხელ გამოვდივარ გენერალური ასამბლეის წინაშე მაშინ, როდესაც გაეროს დაარსების 70-ე წლისთავს აღვნიშნავთ.

დღეს ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა, გავაანალიზოთ ჩვენი მიღწევები და შევაფასოთ ის გამოწვევები, რომლებიც უნდა დავძლიოთ მშვიდობის, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მთელ მსოფლიოში.

ძვირფასო მეგობრებო, საქართველო არის **პატარა** ქვეყანა, რომელსაც აქვს **დიდი** გული და კიდევ უფრო **დიდი** ოცნებები.

საქართველო დამაჯერებლად მიიწევს წინ სწორი მიმართულებით. ჩვენი ხედვა ნათელია ზუსტად ისევე, როგორც ჩვენი მომავალი.

აღსანიშნავია, რომ ამ კვირაში მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ახალი ამომწურავი ანგარიში მმართველობის შესახებ. სიამაყით ვაცხადებ, რომ საქართველო ლიდერობს რეიტინგში ექვსივე მაჩვენებელში მიღწეული ჯამური პროგრესის მიხედვით.

ამ რეიტინგის თანახმად, 2012 წლის შემდეგ საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა:

- ◆ 13 პუნქტით რეგულაციების ხარისხის კატეგორიაში;
- ◆ 16 პუნქტით გამოხატვისა და ანგარიშვალდებულების კატეგორიაში;
- ◆ 19 პუნქტით კანონის უზენაესობის კატეგორიაში;
- ◆ 22 პუნქტით პოლიტიკური სტაბილურობისა და მმართველობის ეფექტიანობის კატეგორიაში;
- ◆ 23 პუნქტით კორუფციის კონტროლის კატეგორიაში.

ეს მნიშვნელოვანი წინსვლა ხაზს უსვამს ჩემი მთავრობის ურყევებას კანონის უზენაესობისა და მემდიის თავისუფლების განმტკიცების, თანამედროვე ეკონომიკის მშენებლობისა და ჩვენი ქვეყნის დამაჯერებელი წინსვლის უზრუნველყოფის კუთხით.

შედარებისთვის გეტყვით, სულ რაღაც ოცი წლის წინ საქართველო იყო იზოლირებული ქვეყანა, სადაც მძვინვარებდა სამოქალაქო ომი და თანამედროვე სახელმწიფოს ორიოდე ინსტიტუტი თუ მუშაობდა.

დღეს ჩვენ ვქმნით ახალ თავს ჩვენი დიადი ერის ისტორიაში. დღეს საქართველო თანამედროვე და დინამიკური სახელმწიფოა.

მომავალ წელს ჩვენ აღვნიშნავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავს.

თავისუფლება, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა ჩვენი ხალხის გენშია ჩადებული.

ქართველი ხალხი კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიული ღირებულებების ერთგულია.

ჩვენ მტკიცედ ვდგავართ რეფორმების გზაზე - ჩვენს



ქვეყანაში მშვიდობისა და კეთილდღეობისკენ მიმავალ ერთადერთ გზაზე.

ჩვენ იმავე სულისკვეთებით მიგვყავს წინ ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ათასწლეულების განმავლობაში ატარებდნენ ჩვენი წინაპრები.

ჩემმა ქვეყანამ გაითავისა გაეროს ქარტიის პრინციპები, რომლებიც წარმართავენ ჩვენს დემოკრატიულ განვითარებას. ჩვენ სწრაფად გავისიგრძეგანეთ საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთება და ვეზიარეთ მას.

ასე რომ, ყველა თავისუფლების მოყვარე ქართველის სახელით მადლობას მოვახსენებ ჩემი ქვეყნის მხარდაჭერისთვის გაეროს და ყველა თავისუფალ ერს დედამიწაზე.

დღეს საქართველოს მტკიცე კავშირები აქვს მთელ მსოფლიოსთან და სახელმწიფოების ერთიან ოჯახთან. ჩვენ ძალ-ღონე არ დავიშურეთ დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, მდგრადი განვითარებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

მაშინაც კი, როდესაც ჩვენ წინაშე დგას რეგიონში უშიშროებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხეები, ჩვენ ვისწრაფვით ჩამოყალიბებული დემოკრატიისა და ისეთი ეკონომიკისკენ, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებს ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი ევროატლანტიკური მიმართულების ტრანსპორტ-რია საქართველოს მტკიცე ევროპულ იდენტობასა და ღირებულებებს ასახავს. ევროინტეგრაცია ევროპის სახელმწიფოებსა და მათ მეზობლებს შორის თანამშრომლობის მძლავრი სტიმულია.

2014 წლის ივნისი ჩვენთვის გარდამტეხი ეტაპი იყო - მე ხელი მოვაწერე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. საქართველო, როგორც ევროპის ნაწილი,





შეუერთდება მშვიდობისა და სტაბილურობის იმ სივრცეს, რომელიც მხოლოდ სარგებელს მოუტანს ჩვენს მეზობლებს და განამტკიცებს ჩვენს საერთო უსაფრთხოებას.

ბოლო წლებში ჩემმა მთავრობამ და ჩვენმა ქვეყანამ მიაღწიეს წინსვლას ყველა სტრატეგიულ სფეროში.

ჩვენ დავამყარეთ საზოგადოებასთან ურთიერთობის ისეთი ფორმა, როდესაც შრომა და მეწარმეობა დაფასებულია, ხოლო ღარიბი ფენები სოციალურად დაცულნი არიან.

მნიშვნელოვანი ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად, ჩვენ დავნერგეთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და გავაორმაგეთ სოციალური დახმარება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივის ფარგლებში ჩვენ C ჰეპატიტთან ბრძოლის ახალი, ინოვაციური კამპანიის მეშვეობით გადავარჩინეთ 200 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე.

ჩვენ ვადგავართ ქართული დემოკრატიის განმტკიცების გზას. ჩვენი ხალხი ითხოვს და იმსახურებს კიდევ ძლიერ დემოკრატიას და გულისხმიერ მთავრობას. ჩვენ შევქმენით მმართველობის ისეთი სისტემა, რომელიც უფრო ღია, გამჭვირვალე და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულია, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა.

მაგრამ ჩვენ შეჩერებას არ ვაპირებთ. წინ კიდევ ბევრი მუშაობა გველის.

2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებელთა მხრიდან უაღრესად დადებითი შეფასება მოჰყვა. ეს არჩევნები შეფასდა, როგორც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები.

გარდა ამისა, მე ვამაყობ, რომ შარშან ჩვენ მივიღეთ საქართველოს ისტორიაში პირველი სრულფასოვანი გრძელვადიანი სტრატეგია ადამიანის უფლებებთან



დაკავშირებით და ავამოქმედეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი. ჩემი მთავრობის ურყევი მიზანია ყველა ჩვენი მოქალაქის ადამიანის უფლებათა დაცვა.

თავისუფალი და ღია დემოკრატია განუყოფელია თავისუფალი და ღია ბაზრისგან. ეკონომიკური თავისუფლება დღესაც წარმოადგენს ჩვენი განვითარების გეგმის ქვაკუთხედს.

ჩვენი გეგმის მიზანია ეკონომიკური ზრდის მიღწევა, მმართველობის ინსტიტუტების განმტკიცება, მეტი სამუშაო ადგილის შექმნა და ქართველი ხალხისთვის მეტი შესაძლებლობის მიცემა. ამისათვის ჩვენ ვაქცევთ

საქართველოს ისეთ ადგილად, სადაც ბიზნესის კეთება ხელსაყრელია და უცხოური ინვესტიციების განხორციელება მიმზიდველი.

2014 წლიდან დღემდე ჩვენ შევქმენით 90 000 ახალი სამუშაო ადგილი საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორში სოფლის მეურნეობის, წარმოების, ტურიზმისა და ენერჯეტიკის ჩათვლით.

საქართველოში ბიზნესის წარმოება ადვილია. უცხოური და ადგილობრივი ბიზნესები თავისუფლად საქმიანობენ კონკურენტულ გარემოში, რომელშიც გარანტირებულია კერძო საკუთრების უფლების დაცვა.

მსოფლიო ბანკის რეიტინგის თანახმად, ბიზნესის წარმოების სიმარტივის თვალსაზრისით საქართველო მე-15 ადგილზეა მსოფლიოში. 2014 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა გაიზარდა 87 პროცენტით, რაც ყველაზე დიდი მაჩვენებელია 2007 წლის შემდეგ.

გარდა ამისა, საქართველო ჩამოყალიბდა, როგორც წამყვანი ტურისტული ცენტრი და მიმზიდველი ადგილი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად. მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს აქვს ყველაფერი: უმშვენიერესი პლაჟები და გამაოგნებელი სათხილამურო კურორტები, დახვეწილი კულინარიული ტრადიციები, განსაკუთრებული ღვინო, უნიკალური ისტორიული ძეგლები და მსოფლიოში განთქმული სტუმართმოყვარეობა.

ავვისტოში თბილისში გაიმართა ორი უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიება: ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი და უეფას 2015 წლის სუპერთასის გათამაშება. სპორტული ღონისძიებები იძლევა

თანამშრომლობის გზით კონფლიქტების დაძლევის უნიკალურ შესაძლებლობას.

რადგან სპორტი ვახსენე, მინდა საქართველოს რაგბის ეროვნულ გუნდს მივმართო და წარმატება ვუსურვო ხვალინდელ მატჩში ახალ ზელანდიასთან მსოფლიო თასის გათამაშების ფარგლებში. ჩვენი ქვეყანა ამაცობს თქვენით!

განათლება არის სახელმწიფოებრივი განვითარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო. პირადად მე კარგად ვიცი ხარისხიანი განათლებისა და უცხოეთში სწავლის ფასი. ვისურვებდი, რომ ქართველ ახალგაზრდებსაც ჰქონდეთ ამის შესაძლებლობა.

ამ მიზნით ჩვენ წამოვიწყეთ ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მთავრობა აფინანსებს უცხოეთში ქართველი სტუდენტების განათლებას. სანაცვლოდ, ისინი ბრუნდებიან სამშობლოში და მიღებულ ცოდნას საკუთარ ქვეყანას ახმარენ.

ბეჯით ქართველ ახალგაზრდებს, რომლებსაც არა აქვთ უცხოეთში გამგზავრების შესაძლებლობა, ჩვენ საქართველოში ვთავაზობთ მსოფლიო დონის განათლებას. სიამაყით ვაცხადებ, რომ ჩვენ აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან თანამშრომლობით წამოვიწყეთ ახალი პროგრამა. დღეს ქართველ სტუდენტებს ქვეყნიდან გაუსვლელად შეუძლიათ სან-დიეგოს უნივერსიტეტის ამერიკული სამეცნიერო ხარისხის მიღება ინჟინერიის დარგში.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, ჩვენ კვლავაც ვდგავართ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შიდა გამოწვევების წინაშე.

სამწუხაროდ, გაეროში ჩემი ბოლო გამოსვლის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერა სოხუმსა და ცხინვალთან ეგრეთ წოდებულ „ინტეგრაციის შეთანხმებას“.







LAND

GEORGIA

ასე რომ, რუსეთი განაგრძობს თავისი უკანონო კონტროლის განვრცობას საქართველოს სუვერენულ ტერიტორიებზე.

მე **ვეგობ** ამ მცოცავ ანექსიას და რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის უგულვებელყოფას.

ამის ტრაგიკული შედეგი კი ისაა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას ართმევენ თავისუფალი ადამიანების კუთვნილ ფუნდამენტურ უფლებებს. დე-ფაქტო მთავრობებმა ახლახან მიიღეს დამატებითი ზომები, რომლებიც კიდევ უფრო ლახავს ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას.

მიმოსვლის თავისუფლება და თავისუფალი სახელმწიფოს ძირითადი უფლებები ფეხქვეშ არის გათელილი, ასევე დამსხვრეულია იმედები და ოცნებები იმ ეთნიკური წმენდის ასობით ათასი მსხვერპლისა, რომელთა ერთადერთი სურვილი შინ დაბრუნებაა.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ყოველწლიურად მიღებული რეზოლუციის მნიშვნელობა (აფხაზეთიდან [საქართველო] და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან [საქართველო] იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ).

ამ კონფლიქტით მიყენებული ტკივილი რეალურია, ხოლო შედეგები იძულებით გადაადგილებულთათვის - უმძიმესი. 2012 წლიდან ჩვენმა მთავრობამ საცხოვრებლით უზრუნველყო ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული 10 000-მდე ოჯახი.

რუსეთის მხრიდან მიმდინარე ოკუპაციის მიუხედავად, ჩემი მთავრობა აცნობიერებს, რომ აუცილებელია რუსეთის ფედერაციასთან პასუხისმგებლიანი და პრაგმატული ურთიერთობების ჩამოყალიბება. ამ მიზნით ჩვენ გადავდგით

კონსტრუქციული და კონკრეტული ნაბიჯები რუსეთთან სავაჭრო, სატრანსპორტო, ჰუმანიტარული და ტურიზმის მიმართულებებით, ყველგან და ყოველთვის, სადაც ეს შესაძლებელი იყო.

ნება მომეცით, მკაფიოდ განვაცხადო: რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება არ მოხდება ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე. გამოვთქვამ იმედს, რომ რუსეთის ფედერაცია დაიწყებს თავისი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების ჩათვლით, და იმოქმედებს ისე, როგორც შეეფერება საერთაშორისო საზოგადოების პასუხისმგებლიან წევრს.

ამავე დროს, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ჩვენი ურყევი ნებაა ეს კონფლიქტი გადაწყდეს მშვიდობიანი გზით და საერთაშორისო სამართლისა და გაეროს ქარტიის პრინციპების საფუძველზე.

ნება მომეცით, მივმართო აფხაზებსა და ოსებს:

ძმებო და დებო, ჩემი ღრმა რწმენით, არავის არ შესწევს ძალა გადაწეროს ისტორია და ამოშალოს ჩვენი საერთო წარსული. ყველა ცდა, რომელიც მიმართული იქნება ჩვენ შორის არსებული კავშირების უგულვებელყოფისა და ჩვენი ერების დაშორებისაკენ, იქნება წარუმატებელი.

თქვენისარგებლებთყველაიმსიკეთით, რომელსაც მოიტანს საქართველოს მზარდი ეკონომიკა და ევროკავშირთან ჩვენი ასოცირების ხელშეკრულება, გააქტიურებული ვაჭრობისა და ვიზების ლიბერალიზაციის ჩათვლით.

ისტორიული კანონზომიერება მოითხოვს **მეტ** თანამშრომლობას, **მეტ** ინტეგრაციასა და **მეტ** კეთილდღეობას. ჩვენი თანამშრომლობა წარმატებასა და სარგებელს მოგვიტანს. იმედის თვალთ შევყურებ იმ დღეს, როდესაც

თქვენ ჩვენი კეთილდღეობის თანაზიარი გახდებით.

ბატონებო და ქალბატონებო,

მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ჩემი ქვეყანა ცდილობს, საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოების, მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.

შარშან წილად მხვდა პატივი, გამეცხადებინა საქართველოს გეგმები აბრეშუმის გზის ფორუმის დაარსებასთან დაკავშირებით. დღეს მე ვამაყობ, რომ ეს იდეა განხორციელდა და სულ რამდენიმე კვირაში თბილისი უმასპინძლებს ამ ტიპის პირველ მაღალი დონის ფორუმს.

საქართველო განლაგებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს გზა-ჯვარედინზე - ეს აღინიშნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეხვედრასა და აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკის პირველ შეხვედრაზე, რომლებსაც წელს საქართველომ უმასპინძლა.

აბრეშუმის გზის აღდგენა იძლევა აზიასა და ევროპას შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავების მნიშვნელოვან შესაძლებლობას. ჩვენ ვაღრმავებთ ჩინეთთან ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს. მჯერა, რომ აბრეშუმის გზის რეგიონი მოგვითანს ახალ შესაძლებლობებს. ეს რეგიონი ფარავს მსოფლიო მოსახლეობის ორ მესამედს და მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტს.

დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს თანამშრომლობისა და რეგიონალური ინტეგრაციის ძალიან დიდი პოტენციალი აქვს.

ამ კონტექსტში მე მივესალმები ირანთან მიღწეულ შეთანხმებას (P5+1). საქართველო გამოთქვამს იმედს, რომ ეს პროცესი დადებითად წარიმართება და თავის წვლილს

შეიტანს რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებისა და ეკონომიკური განვითარების საქმეში.

საქართველომ არაერთხელ დაადასტურა, რომ მზად არის უსაფრთხო საერთაშორისო გარემოს უზრუნველსაყოფად გასცეს იმაზე მეტი, ვიდრე მოეთხოვება. აშშ-ის შემდეგ ჩემი ქვეყანა მებრძოლთა რაოდენობით სიდიდით მეორე ქვეყანაა, რომელსაც წვლილი შეაქვს ავღანეთში მტკიცე მხარდაჭერის მისიაში.

ჩვენი მებრძოლები მსოფლიოს საუკეთესოთა რიცხვში არიან. ისინი ჩემი ერის საამაყო შვილები არიან. მინდა ვისარგებლო ამ შესაძლებლობით და პატივი მივაგო მამაც ქართველ მებრძოლებს, მათ, ვინც სამშობლოს სამსახურში დგას და მათ, ვინც თავი შესწირა მშვიდობასა და თავისუფლებას.

ჩემი ქვეყნის წვლილი ჩვენს საერთო უსაფრთხოებაში ამით არ მთავრდება - საქართველო ასევე უჭერს მხარს ევროკავშირის სამშვიდობო მისიებს და სიდიდით მეორე წვლილის შემტანი ქვეყანაა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ხელმძღვანელობით მიმდინარე მისიაში.

საქართველოს უსაფრთხოებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ჩვენი მზარდი ურთიერთობები ნატოსთან. შარშან გამართული ნატოს სამიტის შემდეგ ალიანსი დათანხმდა საქართველოსთვის პრაქტიკული მხარდაჭერის არსებითი პაკეტის მინიჭებას, რომლის მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერება და ჩვენი, როგორც ნატოს მოკავშირის, ინტეგრირების დონის ამაღლება.

სულ ახლახან ჩვენ გავხსენით ერთობლივი ტრენინგისა და შეფასების ცენტრი, სადაც ქართველი მებრძოლები ნატოს ტრენინგებს დაესწრებიან. გარდა ამისა, ჩვენ ვზრდით საქართველოსა და აშშ-ის და საქართველოსა და ნატოს საერთო წვრთნების რაოდენობას.



ბატონებო და ქალბატონებო,

70 წლის წინ მიღებული გაეროს ქარტიის მიზანია ქაოსის დასრულება და უკეთესი მსოფლიოს მშენებლობა.

დღეს მსოფლიოს წინაშე დგას უპრეცედენტო გამოწვევები, რომლებიც ითხოვს ურყევ პოლიტიკურ პოზიციას. საჭიროების შემთხვევაში ჩვენ უნდა განვახორციელოთ საერთაშორისო ინსტიტუტების რეფორმა, რათა მათ უპასუხონ თანამედროვე მოთხოვნებს. ამ კონტექსტში ჩვენ დადებითად ვაფასებთ მიმდინარე სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკებებს უშიშროების საბჭოს რეფორმასთან დაკავშირებით, რომელთა მიზანია კრიზისულ სიტუაციებში გაეროს ეფექტიანობის გაზრდა, როგორც ეს მითითებულია კიდევ მის ქარტიაში.

რეფორმის პროცესს საფუძვლად უნდა დაედოს უშიშროების საბჭოში მცირე სახელმწიფოთა როლის გაზრდა, ვეტოს უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება და სამუშაო მეთოდების გაუმჯობესება.

იმედი მაქვს, გაეროს 70-ე წლისთავი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მტკიცედ უნდა ვიდგეთ გაეროს ქარტიაში ასახული პრინციპების დასაცავად და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მისაღწევად.

დაბოლოს, ნება მომეცით დავასრულო იმით, რითაც დავიწყე.

ჩვენი ხედვა მკაფიოა და მომავალი ნათელი. ნება მომეცით, გაგიზიაროთ ჩემი ქართული ოცნება.

მე ვხედავ ქვეყანას, სადაც ყველა ყმაწვილსა და გოგონას ხელი მიუწვდება ხარისხიან განათლებაზე, რათა მათ ჰქონდეთ უფლისგან ბოძებული ნიჭის განვითარების შესაძლებლობა.

მე ვხედავ ქვეყანას, სადაც ადამიანებს არა აქვთ იმის შიში, რომ ხელი არ მიუწვდებათ ჯანდაცვაზე, არა აქვთ

ხვალინდელი დღის შიში, რომ უსახსრობისა და შემოსავლების არქონის გამო დაუცველი იქნება მათი ოჯახები.

მე ვხედავ აყვავებულ საქართველოს, რომელიც იყენებს თავის მდებარეობას, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის გზაჯვარედინი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს.

მე ვხედავ ძლიერ და ამაყ ქვეყანას, რომელიც ერთგულად ემსახურება მეზობლებს შორის მშვიდობის დამყარებისა და ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობის საქმეს.

მე ვხედავ ქვეყანას, რომელიც სამეზობლოში სიკეთესა და სტაბილურობას უჭერს მხარს და ასრულებს თავის ვალდებულებებს მსოფლიო საზოგადოების წინაშე.

მოდით, ერთად ვიაროთ ნათელი მომავლისკენ ახალი თაობების საკეთილდღეოდ!

გმადლობთ!



## ავტორის მოკლე ბიოგრაფია

ირაკლი ღარიბაშვილი

დაბადების თარიღი: 1982 წლის 28 ივნისი

### განათლება:

**2005 წ.** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა საერთაშორისო ურთიერთობები;

**2002-2004 წწ.** - სორბონის უნივერსიტეტი, პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი (სპეციალობა - საერთაშორისო ურთიერთობები) პარიზი, საფრანგეთი;

**1999-2004 წწ.** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, სპეციალობა - საერთაშორისო ურთიერთობები;

**1988-1999 წწ.** - დედოფლისწყაროს რაიონის N1 საშუალო სკოლა.

### სამუშაო გამოცდილება:

**20/11/2013 წ.** - დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრად;

**25/10/2012 - 17/11/2013 წ.** - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

**15/02/2012 წ.** - პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო-ს“ დამფუძნებელი/წევრი და პარტიის სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი;

**07/2009 - 06/2012 წწ.** - შპს (ლეიბლი) „ქართული ოცნების“ დირექტორი;

**12/2007 - 14/02/2012 წწ.** - სს „ბანკი ქართუ-ს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

**08/2006 წ.** - საქართველოში სან-მარინოს რესპუბლიკის საპატიო კონსულის პირადი წარმომადგენელი;

**12/2005 - 14/02/2012 წწ.** - საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ-ს“ გამგეობის თავმჯდომარე - გენერალური დირექტორი;

**10/2005 - 01/11/2008 წწ.** - სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტის თანაშემწე;

**05/2005 - 10/2005 წწ.** - შპს „ბურჯი-ს“ (ქართუ-ჯგუფი) ლოჯისტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

**2004-2005 წწ.** - შპს „ბურჯი-ს“ (ქართუ-ჯგუფი) ლოჯისტიკის დეპარტამენტის საგარეო შესყიდვების განყოფილების მენეჯერი;

**2001- 2002 წწ.** - საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სტაჟიორი.

#### **ენები:**

ქართული, ინგლისური, ფრანგული, რუსული

#### **ოჯახური მდგომარეობა:**

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი

## სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
მარინე ბუაჩიძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ირინე ბარამიძე	მხატვარ-დიზაინერი
ია გაჩეჩილაძე	კორექტორი

